

შანი განცხადებისა

დიდი ასობით ასოზე 1 კაპ., ნვერუბრების ასო... მოაგრუალოთ ასოზე ნახევარი კაპ., ნვერუბრების ასოზე... ასოზე მეოთხედი კაპ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორგაბათს ბარდა

ცალკე ნომერი „დროებასა“ ღირს 5 კაპ.

რედაქცია  
კლავინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლში  
ხელის-მოწერა  
მიიღება თბილისში „დროებასა“ რედაქციაში...  
„დროებას“ და „ივერიას“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.  
„დროებას“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.  
„ივერიას“ . . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

## ამ 1881 წელს დროება - ივერიის გამოცემასზე

ამ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება“ გამოდის იმავე პროგრამითა და რიგით და იმავე თანამშრომლებს დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმ თავიდან, გაზეთის დაარსებიდანვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლების-და-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე ამ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„ივერია“ კი ამ წლიდამ გამოდის თვე-და-თვე, ახლდის, უფრო გრძელის პროგრამით და ახალ თანამშრომლებს დახმარებით. შევლანომერში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა.

რედაქციას იმედი აქვს რომ ჟურნალი გამოსცეს ყოველის თვის პირველს რიცხვს.

### ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროება-ივერიის“ რედაქციაში, ბალაიის პროსპექტზე თ. ივ. მ. მუხრანსკის სახლში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში: რედაქციის აგენტთან ბ. ი. ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში).

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: Въ Тифлиси. Въ редакцію Дрозба-Иверии.

### ფ ა ს ი :

	1 წლით	6 თვით.	3 თვით.
„დროებას“ და „ივერიას“ ორივე ერთად	14 მან.	8 მან.	5 მან.
„დროებას“ ცალკე	9 „	5 „	3 „
„ივერიას“ ცალკე	7 „	4 „	2 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.  
ხვედრი ფული ხელის-მოწერა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა“ } ილია ჭავჭავაძე  
სერ. მესხი.

## ვეფხვის ტყაოსანი

ვეფხვის ტყაოსნის ხელთ-ნაწერ ვარიანტებთან შემათანხმებელი რედაქცია სთხოვს ყოველთა ქართული მწერლობის მოყვარეთა მობრძანდენ პირველს რედაქციის სხდომაში. დღეს 6 თებერვალს, საღამოს 8 საათზე. სხდომა იქნება თბილისის საადგილ-მამულო ბანკში.

## ტელეგრაფები

(ხალხთა შორის საგანგებო)

ლონდონი, 4 თებერვალს. მერვის ადგილობრივ წინამძღოლებმა მოილაშქრეს და განდასწვეიტეს გაუწიონ რუსებს უკიდურესი წინააღმდეგობა; მთელი სამხედრო ძალა უნდა მოიხმარონ, რომ რუსებს დაუშვან ტყვეანში შესვლა, სადაც მისულა მკედუმული-ხანი. 5,000 თეკელები და 30 მერვის თავი გაცემა წასულან ყანდაჭარში დახმარების სთხოვნელად. სკობელეგს განზრახვა აქვს განდაიაროს სპანსეთის სამდგარზედ. ხმა არის, თურქელებს სურთო მერვის დასაგლეთვისკენ მდინარე განდასყვანონ და მათ მტერი უწელოდ დასტოვონ.

კიევი, 4 თებერვალს. გუშინ გათავდა იმ ექვსი ურის საქმე ოქტის სასამართლოში, რომელთაც ყაბ 30,000

მანეთის გექსილება შეადგინეს ზოდ-გარსკის სახელთანავე. ექვსივე დანაშაგეთ იცნეს; ორს შეუძსუბუქეს სასჯელი.

პეტერბურში, 4 თებერვ. დაატყუსატეს ერთი აგენტი საიდუმლო ზოლიციისა, რომელსაც უნახეს შემოსავლ-გასავლის დაგთარი და შიგ ჩაწერილი 150 მან. ყოველ თვიური შემოსავალი. გამოცედა—ამ ფულებს ნიგლისტებისკენ ვიღებდით. ის უარს ჭყაფს იმის შესახებს რეგოლიურინელებისკენ გამოთქმულ აწრს. ამ ზოლიციის აგენტს უმტკიცდება, რომ ის მოსყიდული იყო რეგოლიურინელებისკენ.

### ახლა ტაძარში...

ტფილისი, 5 თებერვალს.

დღემდის ეს სამწუხარო იყო; დღეს კი ეს სასაცილოთ გახდა.

მტკენ თითონ გასინჯეთ.

ამას წინათ, ერთს აბხაზეთის სოფელში, ბესლანუბას, დაუნიშნავთ მღვდლათ ერთი ახალ-გაზდა რუსი, მჩამჩირის მღვდელი, რომელმაც არც აბხაზეთი ენა იცის და არც ქართული. მართულის უცოდინარობისა გამო ამ მღვდელმა წირვა, ლოცვა, ქადაგება, მოძღვრება იმ ენაზე უნდა შესარულოს, რომელზედაც თითონ ლაპარაკობს, ესე იგი რუსულ ენაზე, რომლის არც თავი გაეგება ბესლანუბელი აბხაზს და არც ბოლო.

## „დროების“ ფელტონი, თებერვალს

ადვოკატებს.  
მხლანდელ ადვოკატებს,  
იმ მხნავან და წუწკ-კატებს,  
მერ აწამებს ვერაინ  
მერც ჯვარსა და ვერც ხატებს.

მათი უძღვები გული  
და შებლაღული სული  
მუდამ იმას თხოულობს,—  
ფული, ფული და ფული!

სხვისი უბედურება  
არცერთს არ ეყურება,  
სიტყვით სხვებს და საქმით კი  
ჯიბებს ემსახურება!

ძველი აღთქმა ქებული  
აქეთ დღეს დავიწყებული  
და სჯულთ გაუხდიათ,  
მხოლოდ ფული და ფული!  
აკაგი.

## ო ზ ი დ ა \*)

(მოთხრობა ქისტურის ცხოვრების)

ოზიდას წასვლის შემდეგ სოფელ ძელგანიდამ განელო რამოდენიმე დღემ. ოზიდა მორჩენილი იარებისა-გან, იწვა ჩაფიქრებული ერთ ხის ძირში. მის მორი-ახლო ბაღახზე იყო გაშვებული ცხენი, რომელიც შეეკცოდა ბუნებისაგან მოცემულ ნოყიერ ბალახით და ხანდისხან კმაყოფილების ნიშნათ გააბამდა ხეივინს, რომლის გამოც დააფეთიანებდა ხოლმე ჩაფიქრებულ ოზიდას. რამოდენიმე დღე ელოდებოდა ოზიდა თავის მამას.

თოგოლა კი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულყო თავის სახლში, რადგანაც შამილი, ჩვეულებისა მებრ, თავს მალე არ ანებებდა ხოლმე. ის იყო შამელთან და უნდოდა შეეტყო მისგან ახრი ოზიდას თაობაზედ.

\*) „დროებას“ №№ 20, 21, 23.

საც დაიარაღებული ოზიდა გამოჩნდა.

— რას უდგებარ მანდ, საძაგელო ბურღი დაუძახა გაკვირებულმა თოგოლამ.

— იმას უდგევარ, რომ შეგატყობინო ჩემი ძალა...

— რას მიქარავ?! დიკარგე ლაწი-რაკო!..

— ნუ ილანძღები, თორემ...

— რა თორემ?

— თორემ ისა, რომ ეს უკანასკნელი შეხვედრაა ჩვენის..

— რას მიედ-მოედები?! შენ გინდა მე შემაშინო, ყოვლად-საწყალო და უბედურო!..

— მართლა საწყალო და უბედურო!.. შენ არა ხარ ის კაცი, რომელსაც მთელი მისტეთი გაქებდა...

ბრცხვენოდეს... ბრცხვენოდეს, რომ შენში არ არის არა-რა ვაჟ-კაცური!..

საღლა ის დრო, როდესაც შენს სახელს სინარულით მოიგონებდნენ ხოლმე მთელ მისტეთში!.. საღლა ის ვამი, როდესაც შენს წინაშე იკაცებოდნენ მოწინავე კაცები!.. ახლა



მს უბრალო ფაქტი არ საჭიროებს განმარტებას: მაგრამ ჩვენი ეალია ერთი ორი სიტყვა ითქვას ამაზე. მეგბ ვინმე ქრისტიანმა მიაქციოს ამას ყურადღება.

რადგანაც სოფლის კაცს ყოველის თავის ბედნიერებაზე და უბედურებაზე ნათელაზე, ქორწილზე, სიკვდილზე მღვდელი ჰყავს მანუგეშესელათ და მოოცველად, ამის გამო იმას ხშირად აქვს ამ მღვდელთან მისვლა-მოსვლა, ხშირად საჭიროებს იმასთან ლაპარაკს და ჩჩვევას.

მაგრამ როგორ გინდათ, რომ ბესლახუბელ გლეხი კაცი დაელაპარაკოს ამ მღვდელს? ლაპარაკისთვის და ერთმანეთთან აზრის გაცვლა-გამოცვლისთვის ღმერთს ენა გაუჩენია, და თუ კი კაცმა არ იცის ეს ენა, მთელი ხალხი ისე საღ უნდა დახლოვდეს მიმიკაში, რომ თითებთა და კბილებით ელაპარაკოს თავის მოძღვარს.

სხვას თავი დავენებოთ. მსთქვათ, წირვ-ლოცვა რუსულათ შეასრულა მღვდელმა; სოფლის კაცი თუ ვერაფერს გაიგებს, ამ ეკლესიაში, ხატსა და ჯვარს მაინც შეხედავს პირჯვარს მაინც დაიწერს და ემთხვევა კანკელს. მსთქვათ ნათელაც ქორწილიც შეასრულა ამ ენაზე მღვდელმა. მს კიდევ როგორმე შესაძლებელია; მაგრამ ერთი მითხარით როგორ უნდა შეასრულოს მღვდელმა საიდუმლო აღსარებისა?

მს სრულებით შეუძლებელია, რადგანაც აღმსარებელს და მოსინაწულებს ერთმანერთისა არა ვაეკებათ-რა, მაგრამ ეს შეუძლებელი საქმე თურმე ბესლახუბელი მღვდლისთვის შესაძლებელი ყოფილა. მინ იფიქრებდა? ამ საიდუმლო აღსარებას ეს მღვდელი თარჯიმანის შემწეობით აპირებს. იმას ამ გვართ დაურაგება თავისი მრველი: აღსარების დროს მე დავისწერებ თარჯიმანს; მაგრამ ისე მო-

ვხებრბებ, რომ თარჯიმანმა პასუხი არ გაიგოს. აღსარების მთქმელმა მე ხელი ხელში უნდა მომცეს; თარჯიმანის მუამდგომლობით მე იმას ვკითხავ, ცოდვილია ის ამა-და-ამ ბოროტ-მოქმედებაში, თუ არა. მთუ ცოდვილია, ხელს მომიჭერს და მე მივხედები და სხვ. და სხვ.

ამ გვარი ამბის გაგრობა, შემდეგ იმისა, რაც ეთქვით, უადვილია. რა გვარი პრაქტიკული დაბრკოლება მოსდევს ამ ენის უცოდინარობას სოფლის მცხოვრებისთვის, რა გვარი უმსგავსოება არის ეს ახალი სისტემა აღსარებისა, თავის-თავად ცხადია.

ჩვენ მართა ერთს ვიკითხავთ. რა ისეთი საჭიროება იყო, რომ ადგილში გამოუდგარი მღვდელი არ დაენიშნათ ზემოთ ხსენებულ სოფელში? მანა ცოტა მღვდლები იმერეთში, რომელთაც ენაც იციან და საკმაო განათლებაცა აქვთ?

და ამგვარად საქმის წაყვავის შემდეგ რტყვიან აზნახებზე: ბარბაროსები არიანო, განათლების მიღება არ შეუძლიათო, იმათი შეწყყარება არა ღირსო!..

ზაუნათლებელნი არიან, ბარბაროსები არიან, მაგრამ ერთი ისიც ეთქვათ: ვისი ბრალია? მკვლელობა სკოლა არ არის, რომ იქაც ენა ასწავლონ და სოფლის მოსახლობა ხომ 8-9 წლის ბავშვების გროვა არ არის, რომ მღვდელმა, მოძღვრობის მაგიერ, ენის სწავლება დაუწყოს?!

საკმაოთ შორს წავიდა ამკვარი საქმეთ მიმართულება. ჩვენ აგერ ჰერკულესის სვეტებთან მოვედით, რომელზედაც აწერია: „ამას იქით წავსვლა არ შეიძლება“.

ლელა.

რა დარჩა შენში სცუდის და სისაძაგლის მეტი!.. რა არის შენში ვაჟკაცური!.. არაფერი... შენ-ხარ მართა შენის შეილის დამკვლელი; მიპირებდი მალევე მოკვლას... ნუ თუ შენ თუ შენ გაქვდა?.. მანა შენ შენი თავი გამოჩენილი გმირი გეგონა?.. არა... შენ არა ხარ ღირსი ქებისა... შენა ხარ ღირსი აი ამისი...

ამ სიტყვაზედ გაცხარებულმა მზილამ პირში შეფურთხა ტოგილას. ბაწითლებულმა მამამ უნებურათ გამოიძრო ხანჯალი.

— შირცხვილო, როგორ მიბედავ მაგისთანა უკადრისობას!..

— მითი შაჰხედეთ განთქმულ ვაჟკაცს... ხანჯალი ამოიღო და კი არ დამცა...

— მამ გინდა, რომ ყელი გამოგჭრა?

— ჰა, მობრძანდი და გამოგჭერ!.. შენ როდი დანდობ ადამიანს, გესლიანი გული გაქვს. შენ გეშინიან ყველასი, შენი შეილისაც და ამის გამოც არა მხოგავ განა? შენა გგო-

ნია მე ცოტა ამიტანია?.. ბგონია არ მესმოდა და არა ვგრძნობდი შენს ანხლობას?.. იქნება გეგონა, შიშისაგან მომდიოდა, რომ პასუხს არ გაძლევდი? შემცდარი ხარ, ძრჩელ შემცდარი!.. მე, გაფუჭებული მქონდა ისე გული, რომ, გინდ მოვეკალცემით მამა-ჩემს, კრინტს თავის დღეში არ ამოვიღებდი!.. ახლა რასა ეხედავ მის სამაგიეროს!.. მხოლოდ საძაგლობას... ლალატობას... მიყურე, სად არის ის დრო შენის სიცოცხლისა, როდესაც უმიწოთ არ ამოიღებდი ხანჯალს?.. ს-დ არის ის დროება, როდესაც შენს წინაშე ძრწოდნენ შიშისაგან!.. რათ გიჭირავს მთლთ დაბნეულს ეგ ბარბი ხანჯალი და არ დასცემ იმ შეილს, რომლისაგანაც არ უნდა მოელოდე კეთილსა?.. ან რათ უნდა მოელოდე ჩემგნით კეთილსა, როდესაც ჩემთვის არ ჰყოფილხარ კითილი მამა?!.. შენ მაწვალვბდი, მტანჯავდი, და მე ხმას არ ვიღებდი... ახლა, როდესაც მიშლი სუნთქვასა, როდესაც ველოდები. შენგან ყო-

ახალი ამბები

ამ თებერვლის 2-სა არხელოვანის კრების მოსამზადებელს კომიტეტს სხდომა ჰქონდა, რომელზედაც რამდენსამე საგანზე იყო საუბარი და ხალხი საკმაოდ მსმენელი შეიკრიბა.

მომატებული ყურადღება მიიპყრო ღიმ. ბაქრაძის და ღიმ. შურცვლადის საუბარმა ქართულ გუჯრების შესახებ. ბატონმა ბაქრაძემ წარმოადგინა წერილი გუჯრების დაცვის საჭიროებაზე და გუჯრების მნიშვნელობის ასახსნელად ერთი გუჯრის შინაარსი მოიხსენა (წესი მეფესთან სხდომისა სასულიერო და საერო მოხელეთა); ღიმ. შურცვლადემ საზოგადოდ მოიხსენა გუჯრების მნიშვნელობა, რა მასალას წარმოადგენს სწავლა-მეცნიერებისათვის.

მრთავე საუბრის შემდეგ მოხსენებულ იქნა თ. ტრუბეცკოსაგან, რომ გუჯრების შეკრებაზე მთელი სის მუხეუმში, მთავარ-სამმართველოში და ეგზარხოსთან წარდგენილია აზრი.

მეორე საგანი ყურადღების მისაქცევი იყო, მრიცხვის საუბარი მოძრავე სვეტზე, რომელიც მლიზავეტპოლის გუბერნიაში, ზანგებურის უბნშია. მს სვეტი ქვისაა, სამი ეტაჟის სიმაღლეა და ხელის მიკერით ირხევა ხესავებ და წვერი ირხევა ერთის საყენის სიერცხვე. ამას გარდა მრიცხვმა შემოკლებულად წარმოადგინა ეთნოგრაფიული მასალა: ჩვენი ხალხის აზრი კაცის სიკვდილ-სიცოცხლეზე და დასაფლავების დროს აღათებზე.

ბატ. პროცენკომ წაიკითხა ხაზარების ქალაქებზე სარგელზე, რომლის ადგილს სხვაგან ჰგონებს და არა იმ ადგილს, რომელიც რუსეთის ისტორიკოსებისაგან დასახელებულია.

ველთვის სიკვდილსა აი... აი... აი-მეთქი! აი, შენი პასუხი! აი, შენი შეილის სამადლობელი და მისი გადაწყვეტლება: შენ მიშლი მე სიცოცხლესა და ვინც დამიშლის სიცოცხლეს, ის უნდა მოკვდეს—აი ასე...

ამ დროს უცებ მზილამ დასცა დამბაჩა ტოგილას, რომელიც ვასისხლიანებული დაეცა მიწაზე!

— შჩხო და ყოველად წამხდარო! ღმერთმა მიხსნა, რომ არ შემომაკვდი; რადგან, სწორე გითხრა, არ იყავი ამისი ღირსი... არა ხარ ღირსი, რომ იყო ჩემი შეილი... ღმერთო! ღმერთო! განა მოკვდები და ჩემი სისხლი შეჩება ამ ჩემს საძაგელს შეილსა?! ღმერთო, გვხეწები რომ გაღუხადო ის ტანჯვა, რა ტანჯვაც მე მომაყენა!.. ბევედრები დასაჯო დეთიურის ძალით... ღა... მე არ ვიქნები ისე უბრალოთ დაჩაგრული... როგორც პრუტყვი... მს, უსირცხვილო რაღაზედ სტირი? გეშინიან განა დეთიურის ძალის! ღმერთო, დასაჯე შეილი მკვლელი მამისა და

ბოლოს თ. ტრუბეცკომ სთქვა, გახეთს „დროებაში“ დაბეჭდილი იყო, ვითომც სიონის მონასტრიდან ზოგიერთი ნივთები მიაქეთო და შეიძლება დაიკარგოსო; ამის შესახებ უნდა მოგახსენოთო, რომ, მართალია, მე წაველე ერთი ნივთი, მაგრამ სიონის წინამძღვარს ხელწერილი მივეცი და ჩემთან არ დაიკარგებო.

\* \* \*

შოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ ქიაურის ხიდი (პლაზანზე) გაკეთებულია და სიღნაღით ზაქათალას მიმავალს ამ ფოჩტის გზით შეუძლიან ახლა მოგზაურობაო.

\* \* \*

ამ თვის 1-ს მთილისის კრუჟოკში გამართული იყო სატანციო საღამო და ალგერი მფ. სავაჟო პროგიმნაზიის ღარიბ შაგირდებისათვის. ამ პროგიმნაზიის დირექტორი აცხადებს ახლა, რომ ხანებულის ბალიდამ, ხარჯს გარდა, წმინდა შემოსავალი 831 მან. და 77 კაპ. იყოო.

\* \* \*

ზუგდიდიდამ გეწერენ, რომ, სანამ ჩვენს მახრაში ხევის-თავები იყვნენ, მოსვენებით ეცხოვრებდით და იშვიათად თუ ხალხს საქანელი ან სხვა რამე ეკარგებოდაო, ჩვენებური განთქმული ქურდობა თან-და-თან ისპობოდაო; მაგრამ რაკი ადმინისტრაცია გაერია ხევის-თავების საქმეში, ქურდობა და ავაზაკობა ახლა ისევე თან-და-თან მატულობსო.

\* \* \*

სიღნაღიდამ გეცნობებენ, რომ ერთი იქაური მცხოვრები ბ. ივ. შარემუზოვი სთარგმნის სომხურიდამ ქართულს ენაზედ „არაკებს შვიდ მეცნიერთა“ და აგრეთვე „სპილენძის ქალაქის ამბავს“.

\* \* \*

მოგაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, საღამოს 8 საათზე, მბი-

საუკუნოდ სულის წამწყმედი... მასწი, გასწი... მასწი, მომცოლდი... წინ ნუ მიდგებარ ქალივით მტირალი, შერცხვენილო!... რად წახველი?... სად დაიკარგე?... ოჰი!... ოჰი! მამის მკვლელო... იყავ... იყავ... წყეული...

მ. იყო უკანასკნელი წყევლა, რომელიც ამოუშვა მომაკვდამა ტოგილამ. მერე საშინელი კანკალი მოუვიდა და განუტევი სული.

საშინელის ყვირილით მივარდა მზილა მამას, გადაეხვია გულზედ და მწარე ცრემლები გადმოუცვივდა.

— მე, იძახოდა აღელვებული მზილა, მოკალი მამა-ჩემი!.. მზი, წყეულო, მართლა წყეულო მზიდი!.. ღმერთო, დამაჯე ისე, რა საჯელიც უნდა მიეცეს მამის-მკვლელს კ-ცსა!...

მ. ჯორჯაძე.

(დასასრული ჰირველის ნაწილისა)



ლისის საადგილ-მამულო ბანკში არის ყრილობა ქართული მწერლობის მოყვარეთა, ჯეფხვის ტყაოსნის შესასწორებლათ.

\* \*

შოთილამ გვეწერენ, რომ იქაურ მოქალაქეებს უთხოვნიათ მმართველობისათვის საქალაქო თვით-მმართველობის უფლება და იმედით აქვე მათი თხოვნა შესრულებული იქნება.

პორრესპონდენტის სიტყვით, დიდხანია ფოთელებს განზრახული ჰქონდათ შემოხსენებული თხოვნა მაგრამ რაღაც მიზეზის გამო მულამ სამერმისოდ სდებდნენ იმის მოხსენებას. უკანასკნელმა წყალ-დილაამ კი ყველა ფოთელნი დაარწმუნა, რომ ახლანდელი წესით მმართვერაფერს ხერის აყენებს ქალაქს და თვით-მმართველობა კი უკვდავების წყაროსათვის დაეხმარება სანახევროდ წალეკილს შოთს...

\* \*

შოთილამვე გვატყობინებენ, რომ ანატოლიის ნაპირა ნავთ-საყუდლებში მიმოძაღვალ „პავე და ამხ.“ ნაოსნობის საზოგადოება აშენებინებს საფრანგეთში ერთს დიდ გემს, რომელსაც სახელად არქმევს „La Georgie“ (საქართველო.)

წერილი რედაქტორთან.

ბატ. რედაქტორო! თქვენს გზეთში წაფიკითხე ბატ. როსტომაშვილის შენიშვნა ჩემგანით განზრახულს სამეურნეო სასწავლებლის წესდებაზე. როგორც სჩანს, ბატ. როსტომაშვილს ნამდვილათ ვერ გაურკვევია საფუძველი, რაზედაც არის შემდგარი წესდება და არც სკოლანი ჩვენი მხრის მოთხოვილება.

ამ გვარი შეცდომა შეიძლება დაიბადოს სხვათათვისაც, რადგან ჩვენ თავის დროზედ ვერ დავეტყდეთ თქვენს გაზეთში განმარტებითი წერილი სასოფლო მეურნეობის სასწავლებლის წესდებისა. ახლა ვასწორებ ამ ნაკლებულეწინებას და ვგზავნი დასაბეჭდათ იმ განმარტებით წერილს.

ბატ. როსტომაშვილის შენიშვნაში, დ ვიტყვი: ჩვენც გვსურდა, რომ ჩვენს სასოფლო მეურნეობის სკოლაში შემოსულიყენენ მკოდნენი ჩვენის დედა-ენისა, მაგრამ, როგორც დაინახევენ ყველანი, მთელს ღუშეთის უფხდში არის ხალხისათვის მხოლოდ ერთი სასოფლო სკოლა, სოფელს მუხრანში.

პკითხავთ ბატ. როსტომაშვილს, საილამ მოიპოვოს სამეურნეო სკოლაში წერა-კითხვის მკოდნე ყმაწვილები, როდესაც ჩვენს მაზრაში ისინი არა სცხოვრებენ?

პროექტის აზრი არის, რომ ყმაწვილებმა იარონ ყოველ დღე თავის სახლიდგან სკოლაში და არ იყვნენ დაშორებულნი ოჯახებზე. მომავალ ჩვენს სკოლას არ ექმნება პანსიონი და, სწორე მოგახსენოთ, სრულებით

საჭიროც არ არის. პანსიონი რომ გაგვეხსნა, მაშინ ის მოგვაკლებდა ბევრს საშუალებას, გაანაზებდა ყმაწვილებს, და ფუფუნებაში სოფლის ყმაწვილს ყოფნა შესცვლიდა პრაქტიკულ სამეურნეო სკოლის მნიშვნელობას.

ძარგათ გვეხმის ხალხის მდგომარეობა და იმისი აუცილებელი საჭიროება, ამის გამო ჩვენს პრაქტიკულ სამეურნეო სკოლაში მაგირდები ისწავლიან დედა-ენას, ჰკუა და გონება გაეხსნებათ სასოფლო მეურნეობის და სხვა საგნების სწავლით და მიიღებენ ხელოსნობის ცოდნას იმოდენათ, რაოდენათაც გლენს და მამულის მეპატრონეს ესაჭიროება სახლკარობაში.

ამისთვის ჩვენ ვერ დავეთანხმებით ბატ. როსტომაშვილის შენიშვნას, რომ ჩვენ ვითომც მივდევდეთ დასაჭერათ ორ კურდღელს ერთსა და იმავე დროსა.

ილია წინამძღვრი შვილი.

განმარტებითი წერილი

თავად-აზნაურნი და გლენნი საგურამოს ბარში, ღუშეთის უფხდში, მცხოვრებელნი, მოკლებულნი არიან საშუალობას აღზარდონ თავიანთი შვილები და მისცენ მათ სწავლა. ამის გამო იმათი კეთილ-დღეობა დღითი-დღე უკან მიდის. მამულის მეპატრონეთ და გლენთ თვალ-წინ უძვეთ დიდი სიმდიდრე ბუნებისა; მაგრამ ისინი ვერ ახერხებენ იმისგან ჯეროვანს გამოჩინებას. როგორც იმათ მამა-პაპას შეუძლებია მთა-ბარი-იმისი მეტი სხვა ახალი არა იკიან-რა. არსად არა სჩანს ჩვენში ისეთი მოწყობილი ფერმა, სადაც კაცს შეეძლოს თავის თვალთ ნახოს გამშვენიერებული სასოფლო მეურნეობა და იარაღი, რითაც კაცი სხვა ქვეყნებში მდიდრდება.

ახალი სასოფლო მეურნეობის სწავლა და წესი ჯერ არ სუფევს ჩვენში. ჩვენი ნამდვილი ცხოვრება გულს უკლამა კაცს...

მართება მდგომარეობამ დაბადა ჩვენში პაპრი, რომ ჩვენი ახლანდელი სასოფლო მეურნეობა და სახსარი ღონის-ძიებისა შეიძლება გარდაიცვალოს კეთილათ მაშინ, როდესაც ხალხში გავრცელდება მწიგნობრობა და სასოფლო მეურნეობის და ხელოსნობის სწავლა. მანამ კაცის ცხოვრებაში ცოდნა არ შემოვა, მანამდინ ნამდვილი კეთილდღეობა ჩვენის ქვეყნისა დასაჯერი არ არის.

ჩვენი გლენნი და მამულის მეპატრონენი ბუნების მონანი არიან. თუმცა ისინი არ აკლებენ მუშაობას, მაგრამ იმათი მეცადინეობა, უცოდინარობის გამო სასოფლო მეურნეობისა და ხელოსნობის სწავლისა, ამოარის. ჩვენი გლენნი დიდიდგან შუალამდინ თავს იკლამს მუშაობაში, მაგრამ ძლივ ერთ ღუშეა პურს და საშუალობას შოულობს, რომ გამოჰკვებოს თავისი ოჯახი, ხელმწიფის

და საზოგადოების მოვალეობა მოიშოროს.

მინ არ იცის — ამოდენა სასუქის მთები დგას ჩვენი გლენ-კაცის კარმიდამოზედ, მაგრამ იმას იმისი გამდიდრების ძალა, ჯერ კარგათ ვერ შეუთვისებია. იმას არ ესმის, ორ-სამ დღიურს საყანე მიწას ყოველ წლივ პატივი რომ მისცეს თავის, ოჯახს გამოჰკვებოს და მოიპოვებს საკმაო საშუალობას. ამ მიუხედავლობის და უღონობის გამო იმათი სახნაფი მიწები ნაკლებ არიან სასუქ დაყრილნი და შემუშავებულნი, ანუ ისევე ვერანად დგანან.

იმათი ვენახებიც და ბაღებიც იმ მდგომარეობაშია, როგორც მამა-პაპის დროს ყოფილა. ღვინის მაგიერათ აყენებენ წლანკს ღვინოს, კარგი ვაშლის და მხლის მაგიერათ მოზდის პანტა-მაქალო. ისინი ვერ აფასებენ თავიანთ დროსა და ღონეს.

ჩვენი მიწები იხენება რვა, ანუ ათ უღელი ხარ-კამბებით. ნოეს დროს გუთანი და ურემი გვიბებრებს ხელებს და ამოდ ვლუბავთ ძვირფასს დროსა და შრომას, რომელიც შეგვეძლო სხვა საქმეზედ სასარგებლოთ მოგვეხმარებინა.

საქონელი — ბურჯი ოჯახისა — ღვთა-ბედზედ მინდობილია. საქონლის მოვლა იმოტენათ ნაკლებ ვიცით, როგორც ჩვენი თავის მრთლათ შენახვა და პირუტყვის წაძლობა.

მართის სიტყვით, მამა-პაპის დროის სასოფლო მეურნეობის წესმა დანთქოთითქმის ჩვენი გლენ-კაცების და მამულის მეპატრონების ცხოვრება.

მხოლოდ მწიგნობრობის და გამოსაცდელს მეურნეობის სასწავლებელს შეუძლიანთ კიდე შესცვალონ ცხლანდელი ჩვენი სოფლიური ცხოვრება, გააღვიძონ ცხოვრებითი ძალა და დაადგინონ ჩვენი სახლოსნობა წარმატების გზაზედ.

ჩვენს ქვეყანას მაშინ მიეცემა კეთილ-დღეობა, როდესაც მეურნეობის და მწიგნობრობის სკოლები, დაკავშირებულნი ერთმანეთთან, გავრცელდებიან უფხდებში და ექმნებათ მახრად ხუთიოდე მანლობელნი სოფლები, საიდგანაც ყოველ დღეს იეღიან ყმაწვილები სასწავლებლათ. მაგირდები დღითი-დღე ფერმაზედ შეეჩვევიან წესიერ მეურნეობას; კარგი და გონიერი ხელ-მძღვანელი მასწავლებელი მათ აჩვენებს და აუხსნის ადგილობრივ იმ კემპარიტებას, რომელიც მოუპოვებია სასოფლო-მეურნეობის სწავლას.

საგურამოს ბარში და იმის ახლომანლო ქ. ღუშეთიდგან მოკიდებული ქ. ტფილისამდინ არავის ხეობის მარცხნივ, არც ერთ სოფელში არ არის აქნობამდინ გახსნილი სასოფლო სკოლა. რადგანაც საგურამოს ბარში სრულებით უსწავლელი ყმაწვილები ბევრნი არიან, ამისთვის ჩვენ გავბედეთ მათი შემწეობა.

ამისთანა ადგილობრივმა მდგომარეობამ ჩვენ დაგვანახა ის აუცილებელი საჭიროება, რომლის გამო

განვიძრახეთ გავხსნათ იმ საფუძველით, როგორც მოხსენებულნი ვხედავთ ექტში, ჩვენის ხუჯუთუ დაქუთუმი საზოგადოების შემწეობით და მონაწილეობით, ჩვენ მამულში, სოფელ წინამძღვრიანთ-პარში, პრაქტიკული სასოფლო მეურნეობის სკოლა, დაკავშირებული მწიგნობრობის სკოლასთან. თუმცა ამ სკოლებს სხვადა-სხვა მნიშვნელობა აქვსთ, მაგრამ იმათ შეერთებას ხალხის აუცილებელი საჭიროება მოითხოვს. მართა მწიგნობრობა არ მისცემს არც მამულის მეპატრონეთ, არც გლენთ უმეტესს საშუალობას, ვერ გააუმჯობესებს იმათ ზნეობას და არ შესცვლის მათ ნიეთიერ ცხოვრებას, მანამ ისინი არ მიიღებენ სასოფლო მეურნეობის და ხელოსნობის სწავლას.

ამ გვარ წესზედ დაფუძნებული სკოლა, როგორც ჩვენ გვაქვს აზრათ, დაჰბადებს ბევრს მიმბაძველს, მოიპოვებს თანაგრძობას საზოგადოებისას, იმის მონაწილეობას და ღრმათ გაიდგამს ჩვენ ქვეყანაში ფესვსა.

შველა დასაწყისსა ამისთანა საქმეში ერთის კაცისას, თუ საზოგადოება არ გამოუცხადებს თავის ვრცელს თანაგრძობას და არ მიიღებს მონაწილეობას, არ ექმნება შეურყვევლი საძირკველი. შველა საზოგადო საქმეუნდა სასტიკ საზოგადოების განგებობის და მფარველობის ქვეში იყოს, მოიპოვოს მისი თანაგრძობა და მონაწილეობა. ამის გამო შესდგება, როგორც ჩვენ წესდების პროექტში მოხსენებულია, საზოგადოება სასოფლო მეურნეობის სკოლისა მფარველობისა, რომლის ხელშიაც მას დღითი-დღე მიეცემა წარმატება და ხალხს სწავლა და ცოდნა.

ილია წინამძღვრი შვილი.

რუსეთი

პეტერბურლი, 26 იანვარს. („დროუბის კორრესპონდენცია“). მე მახსოვს ამ ორის წლის წინათ, როდესაც ზოგიერთებმა მოიწადინეს პეტერბურლში ქართული წარმოდგენა გაემართნათ, ბევრმა ეს აზრი სასაკლოთ აიგდო. ამბობდნენ — „რას მასხარაობთო, ვინ მოვა ჩვენ თეატრში, ენა რომ არავის ეყურებო! მართალია, სომეხები ყოველ წლივ არდგენენ თავიანთ ენაზედ, მაგრამ ისინი პეტერბურლში ბევრნი არიან და ამასთანავე შეძლებულნიცაო. მართველები კი ერთი-ორიოდ ოჯახი თუ მოიპოვება, თორემ სხვა სულ სტუდენტები არიან, რომელთაც არამც თუ თეატრში მისცემი ფული, ცხოვრების უსაჭიროენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელიც უმძიმთო. აბა ამ გვარ მაცქერლების იმედით როგორ ვაგმართოთ თეატრიო? ზარალი რომ მოგვივიდეს (რადგან ხარჯი ყოველ წარმოდგენის გამართვაში ორმოც-დაათ თუმიდგან სამოც თუმიამდინ უნდებო), რაღა გვეშველება, ხომ დავიღუპნითო!“



# ინგლისის მალაზია

Maison de confiance

ვალდარე ხვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაი—1 მ. 40 კ.
— — —1—20 — —1—60
— — —1—40 — —1—80
— — —1—60 — —2—
— — —1—80 — —2—50

საუკეთესო—2— „ — —3— „  
 იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ტურტელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, მოკოლადი, კაკაო, კანფები, მურამები, მაგნეზია, უნაგირები, კლიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში, მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—90)

**მიუხედავად** იმისა, რომ ბაჟა მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი ვისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ ვარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაღლოთ.  
 ინგლისური რეკლავები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მალაზიაში**. სააგენტო ბარსელის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა ვაკაო ფრანსის, რომელთაც დაიმსახურეს ჰარიის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არამატეული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვარგები მოიგებენ, თუ იყიდან ბლამთ ინგლისის მალაზიაში. მთელი ვოსტიუმი 15 მ. ხველების ვანტუბები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—19)

**ლონდონის მალაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია სამდვილი ჩაის გასასყიდლათ ჰირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რეკლავებისა, კლიტებისა, ტურტელებისა, კონგატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, ვაკაოსი, ღუზებისა, სპონისა, შოკოლისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, ვარსანდებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სურისისა (გემრიელი კლეშკვისი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფებისა და ბატკურისა და კამშ. მურაბისა, აგრეთვე ჩუქებისა და წინდებისა ნოტინგამიდან. სამდვილი ჭავანჭის სიგარები. (100—19)

ვისაც სურს ქართულად ვეძი-სხეუბული სარდაფებისა, უკუძიანთ მიმართონ ჰარობის შესატყობრათ სემინარის ვეანომს ათი სათიჯამ ვიდრე ორ სათამდე შუადღის შემდეგ. (3—2)

**ახალი აგზავნი.**  
 ქ. ფოთში გაგადე ვახუნი ღვინის ზადგადი, მიხელოვების მადანზედ, სურგულადის სახლებში, სმირნოვის სახლების პირდაპირ. ღვინოს ვყიდი თფილისის მაზანდაზე. ბოთლი 30 კ.—1 მანეთამდინ.

იმედი მაქვს საზოგადოება კმაყოფილი დარჩეს ჩემი. **ზადგადი (3—2)**

**სამზაბათს; 17 თებერვალს**  
**ქართულის ვერა-კითხვის ვამა-მრატელეპალი საზოგადოების** საარგებლოთ, თბილისის პრუჟოკში იქნება გამართული

**ბ ა ლ ი**  
 ძალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილი კაბით იყვნენ. ძაღლები კი უნდა მობრძანდნენ ან მუნდირით, ან ფრაკით და ან ნაცია-ნალური ტანისამოსით. (6—2)

**ლონდონის მალაზია**  
 ქრევის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიანტის და ჩინეთის პირველი მოწვევის ჩაის გასასყიდლად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რეკლავებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფონდოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ტიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სურისის ერბო, სასურნებელის, სპონის, ცხვირ-სახოცების, შოთკი წინდების, ჩულქების, კრანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—29)

**ჩრდილოეთის ვლაველ საზოგადოების აგენტის ვაბალოვისა**  
 პატივი მაქვს ამით გამოვაცხადო საყოველთაოდ, რომ მე ვიღებ საზღველად (სტრახში) შოთში და იმის არე-მარეში: ქვის და ხის შენობებსა და საქონელს სკლადებში და გარეთ დაწყობილს და აგრეთვე ზღვითა და ხმელეთით გასაგზავნ საქონელს. (3—3)

**პატენტიანი შოტაპეი**  
 თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ვვავილები სახურავებით 2 მანეთიდან; საძვევე 30 კაშ.; რუბკები 5 კ.—დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ.—დამ და გედრება 1 მან.—დამ; თეფშები 2 მ.—დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფები 20 კ.—დამ თითო ეუთი და სხვ. **ინგლისის მალაზიაში**. (100—89)

ამ ორის წარმოდგენიდან, ხარჯს ვარდა დარჩათ სტუდენტებს ორას თუმანამდინ. სომხებმა რომ ეს ნახეს; იმათაც წაბადეს ამაში ქართველებს და სრულიად შესცვალეს თავის წარმოდგენების ხასიათი: ისინიც ეხლა მხიარულ პიესებს არჩევენ წარმოსადგენათ და ამასთანავე მართვენ ლეკურს და სხვა თამაშობებს, რომელიც აქაურ ხალხს ძალიან მოსწონს და იხილავს.

როგორც ვითხარით, ეს ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ. შარშან, სხვა და სხვა მიზეზების გამო, არ გაუმართავთ ქართული წარმოდგენა. წელს კი, ესე იგი გუშინ ძავეკისის სტუდენტებმა გამართეს ერთსა და იმავე საღამოს წარმოდგენა ქართულ და სუმხურ ენაზედ. მართულად წარმოდგინეს ბ. ა. ცაგარლის პიესა „ნაც გინახავს, გედან ნახავს“ და სწორე ვითხრა ძალიან კარგათ ითამ. მაყურებლებს ყველაზედ უმეტესათ მოეწონათ ის სურათი, როდესაც კინტოები თამაშობით შემოდან საქონწინათ დამზადებული დუდუკით და ღოლით. (სწორეთ გუშინვე მოუვიდათ ქალაქიდან გამოწერილი დუდუკი). ბ. ანდრონიკოვმა (ბიჭუა) და ალიბეგოვმა (საქუა) მაყურებელნი აღტაცებაში მოიყვანეს თავის კინტოური თამაშით. მშვენიერათ იყო მეორე მოქმედებაში პეტიკას როლში ბ. შიფშიძე. ძაღების როლში ყველაზედ უკეთ ითამაშა შარავეის ქალმა (ლიზა).

ხალხი მრავალი დაესწრო. დიდმა მთავარმა ძავეკისის ნამესტნიკმა, რომელიც ამ დღესვე უქმობდა თავის იუბილეს 25 წლის ფელციხმისტრობისას, სტუდენტებს ოც-და-ათი თუმანი გამოუგზავნა, ასე რომ იმედია ზოგიერთი საწყალი და ღარიბი კავკასიელი სტუდენტი ამ წარმოდგენით შეგროვილ ფულებით ცოტაოდნათ მაინც ხელს მოინაცვლებს.

დროებითი ჰეტეროურლედი.

P. S. ის იყო გავათავე ეს წერილი, რომ ახალი „დროებას“ ნომერი შემომიტანეს, სადაც დაბეჭდილია დ—ტი ივერიელის წერილი, რომელშიაც ის აცხადებს, ვითომც მე ზოგი ერთი „დროების“ მკითხველი შეცდომაში შემეყვანოს ბ. ცაგარლის დისერტაციის თაობაზედ.

როდენათაც ღირსეული ვეჭილი და იმის ღირსეული კლიენტი ამ შემთხვევაში მართალი არიან, ამაზედ შემდეგ წერილში მოვილაპარაკებ.

დ. ზ.

**განცხადებანი**  
 თფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა აცხადებს, რომ ამჟვე სემინარიის შენაბაში იმლვეა ძირით სემი სარდაში (ზოდგადი) სხვა-და-სხვა ნივთების შესანახავად ანუ დასაწყობად.

მაგრამ ამ გვარმა ერთის შეხედვით საფუძვლიანმა საბუთებმა ვერ შეაჩერეს ზოგიერთის სურვილი წარმოდგენის გამართვისა. მსენი ამტკიცებდნენ, რომ პირველ ქართულ წარმოდგენაში უფველად ხალხი იმდენი მოვა, რომ ზარალს არაოდეს არა ენახათო. მოვა იმისათვის, რომ პეტერბურღში, სადაც ერთი მილიონი მცხოვრებია, მათში ყოველთვის ერთი ორასიოდე კაცი არ შეიძლება ცნობის-მოყვარე არ გამოჩნდეს და არ მოიწადინოს ქართული წარმოდგენის ნახვა, რადგან თითქმის ყოველ წარმოდგენაში იხატება ხალხის ცხოვრების რაიმე მხარე. ამისათვის ჩვენ უნდა ვეცადნეთ ისეთი პიესა ამოვარჩიოთ, რომ პეტერბურღელებს მოეწონოსო. რაიცა შეეხება ზარალს, მე ჩემს თავზედ მიკისრნაო, სთქვა ერთმა მათგანმა. ამ გვარმა საბუთიანმა სიტყვებმა სძლიერს უმეტესი რიცხვი წარმოდგენის გამართვის მოწინააღმდეგეებისა.

მაჩნდა ახლა იმაზედ ბაასი—თუ რომელი პიესა წარმოედგინათ. ზოგი მოლიერის „ძალათ ცალის შერთოვგინებას“ არჩევდა, ზოგი „მე მინდა ვნებინა ვაგვადეს“, ზოგი „გაყვას“ და ზოგიც „მზის დაბნელებას“. შემდეგ ბევრის ბაასიის „მზის დაბნელების“ მხარემ გამარჯვება; რადგან ამ პიესაში ჩვენი ცხოვრების ბევრი სურათები გამოყვანილი და ამასთანავე სიმღერით, სანდრებით და ლეკური თამაშობით თავდება. ბარდა ამისა ზოგან და ზოგან რუსული სიტყვები და სცენა არის ჩართული და, რასაკვირველია, ამ გვარი პიესა უნდა მოსწონებოდეს აქაურ ხალხსა, რომლისათვისაც შედგენილი იყო მოკლედ ლიბრეტო (თარგმანი შინარის პიესისა) და ამით ჰქონდა ღარისძიება გავგო, რაც სცენაზედ ხდებოდა.

რალა ბევრი გაგვიგძელოთ, წარმოდგენაში მრავალი ხალხი დაესწრო (თუმცა ამ წარმოდგენას შინაურული ხასიათი ჰქონდა); მათში ბევრი არისტოკრატებიც იყვნენ; ასე რომ ამბობდნენ, თავის დღეში ამ კლუბს ამოდენა დიდკაცობა არ უნახავსო.

წარმოდგენაც ჩინებულად წავიდა, რადგან წარმომადგენელნი თითქმის სულ სტუდენტობა იყო და, რასაკვირველია, თავიანთ როლებს შესწავლა და პიესის შეგნება მათ არ გაუჭირდებოდა, თუმცა მომეტებული მათგანი სცენაზედ პირველად გამოდიოდა.

ერთის სიტყვით, ისე კარგათ წავიდა წარმოდგენა, რომ ხალხი აღტაცებაში მოვიდა და ყველა აქაურმა გახეთქება დარის ქებით მოიხსენა ეს საღამო. მთელი ერთი თვე ყველგან ამ წარმოდგენაზედ ლაპარაკობდნენ. საზოგადოებამ მოითხოვა ხელ-მეორეთ ვაემეორებინათ ეს წარმოდგენა და მართლაც იმავე ღირსებით ერთ თვეს უკან კიდევ წარმოდგინეს ისევე „მზის დაბნელება.“